



**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №15**

2013 წლის 23 იანვარი  
ქ. ქობულეთი

**ქ.ქობულეთში მდებარე უძრავ ქონებაზე  
ნუმერაციის მინიჭების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა II შესახვევი №10-ის მიმდებარედ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი №20.42.09.060, სარეგისტრაციო ზონა №20, სარეგისტრაციო სექტორი №42, კვარტალი №09, ნაკვეთი №060) მიენიჭოს ნუმერაცია: ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა II შესახვევი №10 ა.

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურმა (ბ. პაპიძე) აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.კაკაბაძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**ე. ბაგრატიონი**